

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

სტრატეგია 2014-2024 წწ

ტერმინთა განმარტება

1. „ნარჩენები“ - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი გადააგდებს, განზრახული აქვს გადააგდოს ან ვალდებულია გადააგდოს;
2. „საყოფაცხოვრებო ნარჩენები“ - მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი სახლებიდან წარმოქმნილი ნარჩენები;
3. „მუნიციპალური ნარჩენები“ - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;
4. „თხევადი ნარჩენები“ - ნებისმიერი სახის ნარჩენები თხევად ფორმაში, რაც მოიცავს ნარჩენ წყლებს, მაგრამ არ მოიცავს ლექს.
5. „სამედიცინო ნარჩენები“ - ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, ადამიანების და ცხოველების მედიკამენტების საწარმოებისა და საწყობების, მზრუნველობის დაწესებულებების და ვეტერინარული კლინიკების მიერ არის წარმოქმნილი;
6. „ცხოველური ნარჩენები“ - ცხოველების მოვლასთან დაკავშირებული ნარჩენები, როგორიცაა მესაქონლეობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები (ნაკელი, რძე და სხვ.), ხორცის წარმოების ნარჩენები და ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ნაწილები, ბუმბული და სხვ.)
7. „სამშენებლო ნარჩენები“ - მშენებლობის ან ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, რომელიც უნდა განისაზღვროს ნარჩენების ნუსხით;
8. „სპეციფიკური ნარჩენები“ - ნარჩენები, წარმოქმნილი ისეთი პროდუქციისგან, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო, ნარჩენად გადაქცევის შემდეგ საჭიროებს მართვის ცალკეული ზომების მიღებას და სპეციალურ მართვას (მაგ.: შესაფუთი მასალები, ზეთები, საბურავები, მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებები, ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები);
9. „ნარჩენების მფლობელი“ - ნარჩენების წარმომქმნელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ნარჩენებს;
10. „ნარჩენების წარმომქმნელი“ - ნებისმიერი პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები (ნარჩენების თავდაპირველი წარმომქმნელი) ან ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს წინასწარ დამუშავებას, შერევას ან სხვა საქმიანობას, რის შედეგადაც ამ ნარჩენების თვისებები ან შემადგენლობა იცვლება.
11. „ნარჩენების გადამზიდველი“ - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების გადაზიდვაზე, მფლობელის ან სხვა პირის სახელით;

12. „ნარჩენების მართვა“ - ნარჩენების შეგროვება, გადაზიდვა, აღდგენა და განთავსება, ასევე, ამ ღონისძიებების ზედამხედველობა და განთავსების ადგილების შემდგომი მოვლა;
13. „ნარჩენების დამუშავება“ - აღდგენის ან განთავსების ღონისძიებები, ასევე, მომზადების პროცესი აღდგენამდე ან განთავსებამდე.
14. „წინასწარი დამუშავება“ - ფიზიკური, თერმული, ქიმიური ან ბიოლოგიური პროცესები, მათ შორის სორტირება, რომელიც ცვლის ნარჩენების თვისებებს მისი მოცულობის, სახითათო თვისებების შემცირების, ნარჩენებთან მოპყრობის გაიოლების ან აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.
15. „აღდგენა“ - ნებისმიერი საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისთვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული.
16. „ხელახლი გამოყენება“ - ნებისმიერი ოპერაცია, რომლის საშუალებითაც პროდუქცია ან/და კომპონენტები, რომლებიც არ წარმოადგენენ ნარჩენებს გამოიყენება ხელახლა, მათი თავდაპირველი მიზნით.
17. „რეცივლირება“ - ნებისმიერი აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი მასალები გარდაიქმნება პროდუქციად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია ნარჩენების თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. ეს მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.
18. „შეგროვება“ - ნარჩენების შეგროვება, რაც მოიცავს მათ წინასწარ სორტირებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების საწარმოში გადატანის მიზნით.
19. „სეპარირებული შეგროვება“ - ნარჩენების შეგროვება ცალკეული კატეგორიების მიხედვით, შემდგომში მათი სპეციფიკური დამუშავების გაიოლების მიზნით.
20. „ტრანსპორტირება“ - შეგროვებული ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ადგილზე;
21. „განთავსება“¹-

ნარჩენების განთავსება მიწაში ან მიწაზე(მაგ. ნაგავსაყრელი და სხვ.)

ნიადაგის დამუშავება (მაგ. ნიადაგში ჩაშვებული სითხეების ან ღერესებრი ნარჩენების ბიოდეგრადირება და სხვ.),

განთავსება სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე (მაგ. დისკრეტულ უჯრედებში განთავსება, რომლებიც დახურულია და იზოლირებულია ერთმანეთისგან და გარემოსგან და სხვ.),

¹ - არასრული ჩამონათვალი

ბიოლოგიური დამუშავება,
ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება,
მუდმივი დასაწყობება (მაგ. კონტეინერების მაღაროში განთავსება და სხვ.)

22. „ნარჩენების დამუშავების საწარმო“ - სტაციონალური ან მობილური ტექნიკური ან არა-ტექნიკური დანაყოფი, სადაც ხორციელდება დამუშავების ღონისძიებები.
23. „ნაგავსაყრელი“ - ნარჩენების განთავსების ადგილი, სადაც ნარჩენები თავსდება მიწაზე ან მიწაში (მიწის ქვეშ).
24. „გადამტვირთი სადგური“ - ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი;
25. „ნარჩენების ინსინირების საწარმო“ - სტაციონალური ან მობილური ტექნიკური დანაყოფი ან მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის, ენერგიის აღდგენით ან მის გარეშე.
26. „კომპოსტირება“ - ბიოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც მიკროორგანიზმების მონაწილეობით ხდება ორგანული ნარჩენების დაშლა და გარდაქმნა ორგანულ სასუქად კომპოსტად.

1. არსებული სიტუაციის ანალიზი

ქვეყნის მასშტაბით ნარჩენების მართვის საკითხის დარეგულირება წარმოადგენს საქართველოს წინაშე მდგარ როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოწვევას. აღნიშნული მიმართულებით, უკანასკნელ წლებში, ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული.

განხორციელდა რამდენიმე მასშტაბური ინფრასტრუქტული პროექტი, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ამოქმედდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი მყარი საყოფახოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში. მიმდინარეობს ძველი ნაგავსაყრელის დახურვისა და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობის პროცესი ქ. ბორჯომში.

გერმანია საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული სანიტარული ნაგავსაყრელების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობის საკითხი მიზანშეწონილია რეგიონულ კონტექსტში იქნას განხილული. შესაბამისად, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელებისა და

მათთან დაკავშირებული სათანადო რაოდენობის გადამტვირთი სადგურების ქსელის განვითარება.

დაგეგმილია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ქვემო ქართლის რეგიონებში თანამედროვე რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები სამეცნიერო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების თაობაზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის მასშტაბით სანიტარული ნაგავსაყრელების ევროპული სტანდარტების მიღწევა დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდთან არის დაკავშირებული. შესაბამისად კომპანიის დღის წესრიგში მოქმედ ნაგავსაყრელებზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანა დგას. არსებული ნაგავსაყრელების გამართული ოპერირება, თავის მხრივ, გულისხმობს ნარჩენების კონტროლირებულად და ორგანიზებულად მიღება-განთავსების სისტემის დაწერვას, არაორგანიზებულად განთავსებული ნარჩენის შემოზინვა/პოლიგონის ტანის ფორმირებასა და საიზოლაციო ფენით დაფარვას, ზედაპირული და ჩამდინარე წყლების მართვას, ნაგავსაყრელის გაზისა და შესაძლო ხანძრის აღმკვეთი ღონისძიებების ჩატარებას, შემოღობვის სამუშაოების ჩატარებას, ნარჩენების გადაადგილების კონტროლს, შიდა გზების მოწყობა-მოწესრიგებას, ნაპირდაცვის სამუშაოების განხორციელებას და ა.შ.

საქართველოში ნარჩენები განსაკუთრებულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. დღემდე ის რჩება ეკოსისტემების დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების წყაროდ. ამასთან, ნარჩენების განთავსების არსებული პრაქტიკა გულისხმობს, განსაკუთრებით, რეგიონებსა და არაურბანულ ზონებში, ნარჩენების განთავსებას უკონტროლო/არაოფიციალურ ნაგავსაყრელებზე - უახლოეს ხევებში, გზების პირას და მდინარეების ნაპირზე, ყოველგვარი უსაფრთხოების ზომების და სანიტარულ-გარემოსდაცვითი ნორმების უგულვებელყოფით. ამასთან, საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად პოლიგონებზე ხვდებოდა სამრეწველო, სამშენებლო, სამედიცინო, ბიოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის სახიფათო ნარჩენები.

ამჟამად, მოქმედი ნაგავსაყრელების უმრავლესობა არ შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო დირექტივებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. არსებული ნაგავსაყრელების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება განპირობებულია ძველ ნაგავსაყრელებზე წარმოქმნილი

აირების, ნაური წყლებისა და სანიაღვრე წყლების არინების სისტემების არარსებობით. ხშირ შემთხვევაში, პოლიგონები არ იყო შემოღობილი და არ ხორციელდებოდა კონტროლი. შესაბამისად, არ ხდებოდა შეტანილი ნარჩენების თვისობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა. პოლიგონზე განთავსებული ნარჩენების დაპრესვისა და საიზოლაციო ფენით გადაფარვის პრაქტიკის არარსებობა ინფექციური დაავადებების გავრცელების განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიდა.

წლების განმავლობაში ქვეყანაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორს დაფინანსების ნაკლებობა წარმოადგენდა. პრობლემად რჩება მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარისი დონე, ქვეყანაში ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა და შესაბამისი ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

1.1. მყარი ნარჩენების ზემოქმედების სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები

ნარჩენების მართვა საქართველოში უკანასკნელ პერიოდამდე ერთ-ერთი ყველაზე უგულვებელყოფილი სექტორი იყო და დღესდღეობით საჭიროებს მნიშვნელოვან და ძირეულ რეფორმებს. მართალია, დღეს საქართველოში იდგმება გარკვეული ნაბიჯები ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცა სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების გამო, გარემოს დაბინძურების პრობლემა, კვლავ მეტად აქტუალურია. უკონტროლოდ მიმოფანტული საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზს ამ ნარჩენების მოგროვების სისტემა წარმოადგენს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემის განსავითარებლად, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ქცევის წესების გამომუშავება ნარჩენებთან მიმართებაში.

ადამიანის ჯანმრთელობის რისკი: ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე არსებული ბასრი, ტოქსიკური და დაინფიცირებული საგნები, ნაური წყლები და გაზური ემისიები წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულ რისკ ფაქტორებს. აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების ნორმები და რეგულაციები. პოლიგონზე მომუშავე პერსონალი უნდა იქნეს სათანადოდ აღჭურვილი და ინფორმირებული. ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შექმნა გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების

მქონე ნაგავსაყრელების მოწყობას გაზისა და ნაული წყლების მართვის თანამედროვე სისტემებით, რის შედეგადაც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლო რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

სუნის გავრცელების მინიმიზაცია: ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ არსებული სუნი ერთ-ერთი ყველაზე შემაწუხებელი ფაქტორია ადამიანისთვის. ოდორიზაციის შემცირების მიზნით გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია ორგანული ფრაქციის წილის შემცირება ნარჩენების საერთო რაოდენობაში და აგრეთვე ნაგავსაყრელებზე გაზისა და ნაული წყლების მართვის სისტემების დანერგვა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად არსებულ ობიექტებზე რეგულარულად უნდა განხორციელდეს ნარჩენების სპეციალური ტექნიკის მეშვეობით მიწის ფენით გადაფარვა.

ხმაურის გავრცელების შემცირება: ადამიანებისთვის ხმაურით გამოწვეული დისკომფორტის შემცირება შესაძლებელია ნარჩენების გადამზიდი მანქანების მუშაობის სპეციალური გრაფიკის დაწესებით. აღნიშნული საკითხის გათვალისწინება არსებითია ნაგავსაყრელის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

არაოფიციალური ნაგავსაყრელები: საქართველოში უკონტროლო ანუ არაოფიციალური ნაგავსაყრელების დისლოკაციის ადგილებია ქალაქებისა და მჭიდროდ დასახლებული სოფლების მიმდებარე ტერიტორიები და მდინარეების კალაპოტები. შექმნილი ანტისანიტარია სხვადასხვა სახის ინფექციების გავრცელების წყაროა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, განსაკუთრებით წელიწადის ცხელ პერიოდში. აღნიშნული პრობლემა ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული შეგროვებისა და ტრანსპორტირების ხარვეზების შედეგია.

მქექვები წარმოადგენენ ადამიანებს, რომლებიც ნარჩენებიდან იღებენ ეკონომიურ სარგებელს. ისინი თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ნარჩენების კონტეინერებთან და ნაგავსაყრელებზე. ნაგავსაყრელების ოპერირების თანამედროვე სისტემა ზღუდავს მსგავსი ტიპის საქმიანობას. შედეგად, კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ სარგებელს მოკლებული ადამიანების ნაგავსაყრელზე დასაქმების პერსპექტივას.

2. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ნარჩენების მართვის კუთხით არსებული რთული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში 2012 წლის 24 აპრილს ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო კომპანია, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) სახელწოდებით. მისი შექმნის მიზანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში მყარი ნარჩენების არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების მართვა.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია წარმოადგენს სხვა ქვეყნებში არსებული მსგავსი პროფილის ორგანიზაციების ანალოგს, სადაც ნაგავსაყრელების მართვა ატარებს სისტემურ/ცენტრალიზებულ ხასიათს და ხორციელდება ერთი ორგანიზაციის მიერ. კომპანიის მიზანია მყარი ნარჩენების მართვის ერთანი ქმედითუნარიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კომპანიის სამოქმედო არეალს წარმოადგენს საქართველოს რეგიონები (ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი). კომპანიის იურისდიქციაში ამჟამად შედის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების 52 მოქმედი ნაგავსაყრელი (საერთო ფართობი - 1 786 190 კვ.მ). კომპანიის იურისდიქციას არ განეკუთვნება ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაგავსაყრელები.

ქვეყანაში მოქმედი ნაგავსაყრელების დახურვა და თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელების ოპერირება დაკავშირებულია მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებასთან. აღნიშნული მიმართულებით კომპანიის საქმიანობა ითვალისწინებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და საფინანსო ინსტიტუტებთან შესაბამისი დაფინანსების მოძიებას.

2.1 კომპანიის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები

2012 წლის მარტამდე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოებთან ერთად, მათი ნაგავსაყრელებზე განთავსება და განთავსების ადგილების მოვლა-პატრონობა, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. 2012 წლის 16 მარტის №5857-ის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლში (თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები) შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება დასუფთავების საკითხებში შემოიფარგლა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოთა წარმოებითა და მათი განხორცილებისათვის შესაბამისი მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვითა და ორგანიზებით. ამავე კანონის ცვლილების საფუძველზე, უკვე 2012 წლის 1 მაისიდან,

ნარჩენების განთავსების ადგილების (მუნიციპალური ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობისა და მშენებლობის კომპეტენცია გადაეცა სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემას, კერძოდ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით, შესაბამისი პროფილის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება და მისი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის 100% წილის მართვის უფლებით გადაცემა.

ზემოხსენებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გამოიცა შემდეგი სახის სამართლებრივი აქტები:

- ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის №1-1/1045 ბრძანება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დაფუძნების შესახებ“;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 მაისის №10/05/02 განკარგულება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“;
- გ) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №894 განკარგულება;
- დ) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის №1093 განკარგულება და სხვა ინდივიდულურ-სამართლებრივი აქტები.

2012 წლის 24 აპრილის №1-1/1045 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. თბილისის გარდა) მყარი მუნიციპალური ნაგავსაყრელების მართვას.

2012 წლის 10 მაისის №10/05/02 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის

უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

მოცემულ ეტაპზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობს ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავების საკითხზე. აღნიშნული სამართლებრივი ბაზის შექმნა უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის სფეროში არსებული რიგი პრობლემური საკითხების რეგულირებას და აღმოფხვრის სხვადასხვა ნორმების შეუსაბამობის შემთხვევებს.

კომპანია, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ასევე ხელმძღვანელობს ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივებით:

- ევროსაბჭოს ნარჩენების დირექტივა **2008/98/EC**
 - აღნიშნული დირექტივის მე-14 მუხლში გათვალისწინებულია მყარი ნარჩენების მართვის ხარჯის ამოღების მექანიზმის შემუშავება "წარმომქმნელი იხდის" პრინციპის შესაბამისად.
- ევროსაბჭოს ნაგავსაყრელის დირექტივა **1999/31/EC**, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:
 - ნაგავსაყრელის სავალდებულო მდგომარეობის წესის შემუშავებას
 - მონიტორინგისა და კონტროლის პროცედურების შემუშვებას ნაგავსაყრელის ოპერირებისა და მისი დახურვის შემდგომი მოვლის შესახებ.
 - ნაგავსაყრელის ოპერირებისა და მისი დახურვის შემდგომი მოვლის ხარჯების ანაზღაურების საშუალებების შემუშვებას.
 - ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღების, ნებართვების გაცემის სისტემების შემუშავებას.

2.2 კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.2.1 კომპანიის ხელმძღვანელობა

კომპანიის მმართველობა ეფუძნება ვერტიკალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. იგი განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ-ფინანსურ, პროგრამულ და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მიმართულებებს და ახორციელებს კომპანიის მიმდინარე ხელმძღვანელობას. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

კომპანიის დირექტორის სამი მოადგილე, კომპანიის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს უძღვებიან. კომპეტენციების შესაბამისად, დირექტორის მოადგილეები კურირებენ საფინანსო და ადმინისტრაციულ საკითხებს, ტექნიკური, პროექტების მართვისა და სტრატეგიულ საკითხებს, და რეგიონულ საკითხებს.

კომპანია საკუთარ საქმიანობას ახორციელებს მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ოფისების მეშვეობით.

2.2.2 კომპანიის რეგიონული ოფისები

რეგიონებში ნაგავსაყრელების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანიის მმართველობაში არსებული 9 რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს (ამბროლაური, რუსთავი, ახალციხე, გორი, მცხეთა, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი და თელავი). რეგიონული ოფისები დაკომპლექტებულია რეგიონული კოორდინატორებით და პოლიგონების ოპერატორებით.

2.3 კომპანიის დაფინანსება

მოცემულ ეტაპზე, კომპანიას დაფინანსების რამდენიმე ძირითადი წყარო გააჩნია:

- დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- დაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან;
- საკუთარი შემოსავლები.

კომპანიის საბიუჯეტო დაფინანსება 2012 წელს 750 000 ლარს შეადგენდა. 2013 წელს, მთავრობის ცვლილების შემდგომ, იგი მკვეთრად გაიზარდა და 2013 წლის საბიუჯეტო დაფინანსებამ 12 მლნ ლარი შეადგინა. წარმატებული საქმიანობის გათვალისწინებით და საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპანიას დამატებით 10 მლნ ლარი გამოეყო.

ეტაპობრივად იზრდება დაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან (შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო Sida, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID, ევროკავშირი და სხვა). საგრანტო დაფინანსება უმეტესწილად კომპანიის ტექნიკურ დახმარების კომპონენტისაკენ არის მიმართული. ტექნიკური დახმარება თავის მხრივ კომპანიის შესაძლებლობების გაძლიერებას გულისხმობს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული შეღავათიანი კრედიტებით მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები ფინანსდება. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკი (KfW) 20 მლნ ევროს მოცულობით აფინანსებს იმერეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს, რომელიც იმერეთისა და რაჭა ლეჩხუმის რეგიონებისათვის ევროპული სტანდარტების სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას ითვალისწინებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკი (EBRD) 10 მლნ ევროს კრედიტით ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტს აფინანსებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობაა გათვალისწინებული.

ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსებისათვის მომსახურეობის საფასური კომპანიის საკუთარი შემოსავლების წყაროს წარმოადგენს. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ნაგავსაყრელებზე მეტწილად ნარჩენებს საფასურის გარეშე ათავსებენ მუნიციპალური კომპანიები, საკუთარი შემოსავლები დაფინანსების ყველაზე მინიმალურ წილს შეადგენს.

2.4 კომპანიის მისია

ნარჩენების განთავსების და გადამუშავების შედეგად გარემოზე და ადამიანზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, საქართველოს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვა და რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მოსახლეობისა და ეკოსისტემების უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ოპერირების სისტემების შექმნა.

2.5 კომპანიის ხედვა

2024 წლისთვის შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოფს:

- რეგიონული მასშტაბით მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების მართვის ეკოლოგიურად, ფინანსურად, ნორმატიულად და ეკონომიკურად გამართულ სისტემის განვითარებას;
- საქართველოს რეგიონებში თანამედროვე, ეკონომიკურად და მოწოდებული ნაგავსაყრელების მშენებლობას;
- მოქმედი ნაგავსაყრელების ევროსტანდარტების შესაბამისად დახურვასა და დახურული ნაგავსაყრელების შემდგომ მოვლა-მონიტორინგს;
- გამართული ოპერირების გზით, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების დონის შემცირებას;
- მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მოწინავე ტექნოლოგიების (მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების პრაქტიკის) დანერგვას ქვეყნის მასშტაბით;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და მართვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობას;
- მმართველობის ეფექტურ სისტემასა და ძლიერ ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაფუძნებით ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას;

- ნარჩენების მართვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებულ მხარეებს შორის (სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურები, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა) ეფექტური კომუნიკაციის განვითარებას;
- თვითკმარი ფინანსური სისტემის განვითარების მიზნით, სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებას.

2.6 კომპანიის საქმიანობა

კომპანია კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს:

- მყარი ნარჩენების მართვის სფეროს განვითარების გრძელვადიანი პროგრამებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავებაში მონაწილეობა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი რეალიზაცია;
- ქვეყნის მასშტაბით (ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების (პოლიგონების) ოპერირების ორგანიზება, მართვა, ზედამხედველობა და კონტროლი;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მყარი ნარჩენების მართვის სფეროში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლის მონაწილეც არის საქართველო;
- ისეთი ღონისძიებების გატარება და საქმიანობის დაგეგმვა, რომელთა მიზანია პოლიგონების მართვის კუთხით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება;
- ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-შენახვის, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის, რეაბილიტაციისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის აუცილებელი სახსრების, მათ შორის ინვესტიციების, მოზიდვა და მიზნობრივი ხარჯვის ორგანიზაცია;
- საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა) ამჟამად მოქმედი და კომპანიის ბალანსზე

რიცხული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების მართვა-ოპერირება;

- არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების სანიტარული მდგომარეობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა;
- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგიონული მყარი საყოფაცხოვრებო პოლიგონების (ნაგავსაყრელების) მშენებლობის პროექტების განხორციელება;
- ისეთი ნაგავსაყრელი პოლიგონების დახურვის სამუშაოები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მსგავსი ნაგებობებისათვის აუცილებელ საერთაშორისო სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებს.

2.7 დაინტერესებული მხარეები

კომპანია თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში, მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და თვითმმართველ ერთეულებთან.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელების უზრუნველყოფას. იგი, კომპანიის მმართველ ორგანოს წარმოადგენს და კომპანია მის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება ნარჩენების მართვის სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა და ერთიანი ეროვნული სტრატეგიების განსაზღვრა.

ასევე კომპანიის მიზნებისა და ამოცანების შესრულებისას, მნიშვნელოვანია ხაზგასმულ იქნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს როლი ურთიერთთანამშრომლობისას. სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, გასცემს მშენებლობის ნებართვებს, რომელიც საჭიროა კომპანიის მიერ ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობის განხორციელებისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ შუამავალ რგოლს წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობებში კომპანიასა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს ქვეყნის მასშტაბით სანიტარულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს, ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებებს, რითიც შემდგომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

რაც შეეხება საქართველოს თვითმმართველ ერთეულებს, კომპანია მათთან მჭიდრო კავშირშია საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, თვითმმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა. თვითმმართველობის ერთეულები, როგორებიც არიან მუნიციპალიტეტები, გამგეობები და სხვა, ერთ ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე მხარეა ნარჩენების მართვის სისტემის განხორციელებისას.

კომპანია საქმიანობის განხორციელებისას ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

2.8 SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა - ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ნარჩენების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პრიორიტეტს და ამოცანას. შესაბამისად, სახელმწიფოს პრინციპული როლი აკისრია ნარჩენების მართვის სისტემის სათანადოდ განვითარების უზრუნველყოფის კუთხით.
აღნიშნული მიმართულებით სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი და პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერა. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ჩამოყალიბდა. ამავდროულად საქართველოს მთავრობამ კომპანიის საბიუჯეტო

დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდაც უზრუნველყო. ასევე თვალსაჩინოა მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

- შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ შექმნა - საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯად ითვლება, რადგან მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანია წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად ეფექტურ ინსტრუმენტს. მოცემულ ეტაპზე, ნაგავსაყრელების მართვის ცენტრალიზებული ფორმა სისტემის განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების უზრუნველყოფის საშუალებაა რაც, თავის მხრივ, მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. კომპანია ახორციელებს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროექტებსა და პროგრამებს.
- ევროპული სტანდარტების დანერგვის პოლიტიკური ნება - ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისტემის საქართველოში დანერგვა/განვითარება წარმოადგენს პრინციპულ მიზანს. თანამედროვე სტანდარტების დასანერგად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოელი პარტნიორების მოძიებას საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული მიმართულებით, შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის აქტიური ძალისხმევით ვითარდება თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, ევროპული ქვეყნების მთავრობებთან, ევროკავშირთან და ა.შ. სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უშუალოდ არიან ჩართული სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესებში.

სუსტი მხარეები:

- ნარჩენების მართვის ერთიანი ინტეგრირებული სისტემის არარსებობა - ეფექტური და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ნარჩენების მართვის სისტემა გულისხმობს განვითარების საერთო ხედვაზე დაყრდნობით სხვადასხვა მხარეთა (სახელმწიფო სტრუქტურები, მუნიციპალიტეტები,

კერძო სექტორი, არასამთავრობო სექტორი და მოქალაჭეების) ერთობლივ ქმედებებს. კომპანიის შექმნამდე არსებული პრაქტიკა ერთიანი მიდგომის არარსებობის პირობებში ცალკეული ადგილობრივი მუნიციპალური ერთეულების მიერ მყარი ნარჩენების არაორგანიზებულ მართვაზე იყო აგებული.

- **ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიების არარსებობა** - ნარჩენების მართვის საქართველოში არსებული პრაქტიკა არ ითვალისწინებდა ნარჩენების ტიპების განსაზღვრას, შესაბამის დახარისხებას და შემდგომ რეციკლირებას. შესაბამისად საქართველოში წარმოებული ნარჩენების უდიდესი ნაწილი ხვდება ნაგავსაყრელზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ პრაქტიკასთან, რომლის მიხედვითაც, ნაგავსაყრელზე მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთი სახის ნარჩენების განთავსება, რომელიც არ ექვემდებარება გადამუშავებას.
- **არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა** - არ არსებობს ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ბაზა. საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა რეგულირდება სხვადასხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში გამოყენებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. კანონქვემდებარე აქტების უმრავლესობა საკანონმდებლო წინააღმდეგობაშია არსებულ რეალობასთან (მაგალითად, გაუქმებულია მთელი რიგი პასუხისმგებელი უწყებები), არ არსებობს ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონი.
- **ნარჩენების მართვის კუთხით მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე** - ქვეყანაში მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი და ცნობიერების დონე ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებით არის დაბალი, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქნას განხილული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში.
- **მოსახლეობის დაბალი სოციალური დონე** - საკუთარი ხარჯების დასაფარად სახელმწიფო სუბსიდირების მოცულობის ეტაპობრივად შესამცირებლად, კომპანიის წინაშე დგას გადასახადების შემოღების ამოცანა. ქვეყნის რეგიონებში მოსახლეობის რთული სოციალური მდგომარეობა უშუალოდ აისახება მათ გადახდისუნარიანობაზე და შესაბამისად წარმოადგენს

შესაძლებლობები:

- **საერთაშორისო თანამდევობრობის მხრიდან ნარჩენების მართვის სფეროში**
თანამშრომლობის ინტერესი - ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული შეთანხმების დოკუმენტის ფარგლებში თანამშრომლობა. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული შეთანხმება ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კომპლექსური სისტემის (ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპების) დანერგვას და ნაგავსაყრელებისადმი მკაფრი მოთხოვნების/სტანდარტების შემოღებას.
- **ნაგავსაყრელების რაოდენობის შემცირება (ეტაპობრივი დახურვა)** - გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების აშენების შემდეგ არსებული ნაგავსაყრელების დახურვა, რასაც კომპანია განახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროგრამების და პროექტების ფარგლებში.
- **ევროკავშირის სტანდარტების ნაგავსაყრელების შექმნა** - გარემოს დაცვასა და ადამიანის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ნარჩენების მართვის სისტემა გულისხმობს ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობას ქვეყნის მასშტაბით. კომპანია მიზნად ისახავს სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობას რეგიონული პრინციპის მიხედვით.
- **მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება** - ნარჩენების მართვის გამართული სისტემა გულისხმობს სათანადო ინფორმირებულ საზოგადოებას. ამ მიზნით, კომპანია, შესაბამისი პროექტების ფარგლებში განახორციელებს ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ საინფორმაციო კამპანიებს და საჯარო ღონისძიებებს მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე.
- **კერძო სექტორის მოტივირება და ნარჩენების მართვის პროცესებში ჩართვა**- საქართველოში წარმოებული ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ქვეყანაში მოქმედი საწარმოების და სხვადასხვა კერძო სექტორის მიერ წარმოებული ნარჩენები. შესაბამისად, სისტემის დახვეწისა და განვითარების პროცესში, „დამბინძურებელი იხდის“ და „მეწარმეთა გაფართოებული პასუხისმგებლობის“ პრინციპების გათვალისწინებით, კერძო სექტორის ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

- **ნარჩენების მეორადი გამოყენების პერსპექტივა და შესაბამისი მეორადი ნედლეულის ბაზრის ჩამოყალიბება** - საქართველოში მოქმედ ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენები წარმოადგენს მეორადი ნედლეულის ღირებულ წყაროს. კომპანიის მიერ გათვალისწინებულია ამ მიმართულების განვითარება და არსებული პოტენციალის უტილიზაციის მიზნით პროექტების განხორციელება.

საფრთხეები:

- **პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტება** - მყარი ნარჩენების მართვის საკითხმა შესაძლებელია რამდენადმე დაკარგოს აქტუალობა სამთავრობო დონეზე, მოხდეს გადაფასება და გადაინაცვლოს შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხთა რიგებში, რაც, თავისთავად, გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტებას.
- **დაფინანსების შემცირება/შეწყვეტა** - იმ შემთხვევაში თუკი კომპანია, დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების მოძიების გზით ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სუბსიდირების მოცულობის შემცირებას, მოსალოდნელია პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტებასთან ერთად კომპანიისთვის სახელმწიფო დაფინანსების შემცირება-შეწყვეტა.
- **ნაგავსაყრელის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა და პოლიგონზე მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისთვის პოტენციური რისკის მაღალი დონე** - ნაგავსაყრელები უარყოფით გავლენას ახდენს მიმდებარე ტერიტორიების პირობებზე, ბინძურდება ნიადაგი, ჰაერი, წყალი, რაც, თავის მხრივ, ქმნის ნაგავსაყრელების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა ან/და მასზე მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს.
- **მოქმედ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული მაღალი კოლოგიური რისკები** - უნებართვო ნაგავსაყრელებზე უწესრიგოდ დაყრილი ნარჩენები და ნაგავსაყრელების ნაჟური წყლები აბინძურებს ნიადაგს და ზედაპირულ წყლებს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებით, ლითონებით, მარილებით და სხვა ორგანული ნივთიერებებით; ხდება მეთანის ემისია და ჰაერის დაბინძურება.

3. კომპანიის მიზნები

3.1 მოკლევადიანი (0-5 წლამდე პერიოდი) მიზნები

- კონკრეტულ რეგიონებში ნაგავსაყრელების გამსხვილება და ცალკეულ ნაგავსაყრელებზე ოპერირების ეტაპობრივი შეჩერება შემდგომში დახურვის მიზნით;
- შეჩერებული ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვის დაწყება;
- ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მიღების პროცედურების გაუმჯობესება/დახვეწა;
- კომპანიის მართვაში არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა/მოწესრიგება;
- ნაგავსაყრელების მართვის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად განხორციელება. (გათვალისწინებული იქნას გარემოზე ზემოქმედების ხარისხი, შრომის უსაფრთხოება და ადამიანების ჯანმრთელობა, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ზომების ჩათვლით);
- ქუთაისის, ბორჯომის და მარნეულის ნაგავსაყრელების მართვის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად განხორციელება;
- არსებულ ნაგავსაყრელებზე გაზის შეგროვების შესაძლებლობის შესწავლის განხორციელება;
- ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების საჭირო რაოდენობის დადგენა;
- მაღალი რისკის მქონე ნაგავსაყრელების რემედიაცია/დახურვის ინიცირება და დახურული ოფიციალური ნაგავსაყრელების მუდმივი მონიტორინგი;
- ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ხარჯების ამოღების ქმედითი სისტემის შექმნა;
- კომპანიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა ნარჩენების მართვის სხვადასხვა საკითხებზე, ტექნიკური, ეკონომიკური, ადმინისტრატიული და იურიდიული საკითხების ჩათვლით;
- დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა წყაროზე სეპარაციის (წყაროზე სეპარაციის საპილოტე პროექტების განხორციელების ხელშეწყობა), გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობის კუთხით.
- კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა.
- მოსახლეობის და გადაწყვეტილების მიმღებთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

3.2 გრძელვადიანი მიზნები (5-დან 10 წლამდე პერიოდი)

- ახალი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობის დასრულება საქართველოს ყველა რეგიონში;
- ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების ხარჯების ეფექტურად ამოღების სისტემის შემუშავება;
- ახალი ნაგავსაყრელების საკონტროლო და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- ევროსტანდარტების დაცვით დახურული ნაგავსაყრელების მონიტორინგი და კონტროლი;
- ორგანული ნარჩენების ინსინერაციის (ენერგიის აღდგენა) დანერგვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა;
- შესაბამისი პოტენციალის არსებობის შემთხვევაში გაზის მცირე და ფართომასშტაბიანი წარმოება;
- ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენის მოცულობის შემცირების ხელშეწყობა;
- ნარჩენების მეორადი გამოყენების და რეციკლირების მაღალი დონის მიღწევა;
- ნარჩენების მართვის პროცესში ევროკავშირის სტანდარტების სრული დაცვა;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოსახლეობის და გადაწყვეტილების მიმღებთა ცოდნის მაღალი დონის მიღწევის ხელშეწყობა;
- დაფინანსების აღტერნატიულ წყაროებზე გადასვლით სახელმწიფო სუბსიდირების მოცულობის შემცირება;
- დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით ნარჩენების წყაროზე სეპარაციის დანერგვის ხელშეწყობა.

3.3 მოქმედი ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა

სტრატეგიული მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, კომპანიის მოკლევადიან მიზნად განისაზღვრა არსებული ნაგავსაყრელების გარემოზე, ადამიანზე და ეკოსისტემებზე მავნე ზემოქმედების შემცირება მათი რეაბილიტაცია/რემედიაციის გზით.

აღნიშნული მოკლევადიანი მიზნიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება 5 წლამდე პერიოდში არსებული ნაგავსაყრელების პოლიგონების კეთილმოწყობის პროექტების განხორციელება.

2014 წლის ბოლომდე დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- ქ. მცხეთის საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ზუგდიდის საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონის კეთილმოწყობა;

- შიდა ქართლის რეგიონში საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების (ქ. კასპი (ახტალა), დ. აგარა, ქ. ქარელი, ქ. ხაშური) შემოღობვა და ჭიშკრის მოწყობა;
- კახეთის რეგიონში საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების (ქ. გურჯაანი, ქ. ყვარელი, ქ. წნორი, ქ. ლაგოდეხი, ქ. დედოფლისწყარო) შემოღობვა და ჭიშკრის მოწყობა;
- ქ. იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში არსებული საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების (ზესტაფონის რაიონი-სოფ. ზემო სვირი, ქ. თერჯოლა-კოხრას ტერიტორია, სამტრედიის რაიონი-სოფ. ოფეთი, ტყიბულის რაიონი - სოფ. მანჭიორი, ქ. ლანჩხუთი, ქ. მარტვილი) შემოღობვა და ჭიშკრის მოწყობა;
- ქ. გორის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ახალციხის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. თელავის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ამბროლაურის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ოზურგეთის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა.
- ქ. ქუთაისის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ქუთაისის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის გასწვრივ მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება;
- ქ. საგარეჯოს საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. წნორის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ლაგოდეხის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. დუშეთის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ხაშურის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. კასპის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;

- ქ. თერჯოლის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. სამტრედიის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. საჩხერის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. მარნეულის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა;
- ქ. ფოთის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობა.

3.4 ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა

შპს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე საფინანსო ინსტიტუტებთან და აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ხსენებული პროექტების განხორციელება მიზნად ისახავს ქვეყანაში ევროსტანდარტების მქონე, გარემოსათვის უსაფრთხო ინტეგრირებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვას.

კომპანია, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ამჟამად ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმდინარე პროექტს, კერძოდ:

- ქ. ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს 2014-2017 წლებში ქ. ქუთაისთან იმერეთის ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ძველი ნაგავსაყრელის დახურვას. ახალი ნაგავსაყრელი ასევე მოემსახურება რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონს. პროექტის დაფინანსება ხდება (KfW) გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის, ევროკავშირისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 26 000 000 ევროს (დაახ. 63 230 000 ლარი) საიდანაც - 20 000 000 ევრო წარმოადგენს KfW-ს სესხს; 2 000 000 ევრო - ევროკავშირი გრანტია, ხოლო 4 000 000 - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. მოცემულ ეტაპზე მომზადდა ტექნიკურ ეკონომიკური კვლევა, მხარეთა შორის გაფორმდა დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკი (KfW) ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტების შერჩევას.

- მიმდინარეობს ქვემო ქართლის რეგიონში ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელება. პროექტის ღირებულება შეადგენს 16 000 000 ევროს (დაახ. 38 910 000 ლარი) საიდანაც - 10 000 000 ევრო - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სესხია, 4 000 000 ევრო - ევროკავშირი გრანტი, ხოლო 2 000 000 ევრო - სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებაა. პროექტი ითვალისწინებს 2014-2018 წლების განმავლობაში ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ძველი ნაგავსაყრელების დახურვას. მოცემულ ეტაპზე EBRD-ის მიერ შერჩეული კონსულტანტი (COWI) ახორციელებს ტექნიკურ ეკონომიკურ კვლევას.
- მიმდინარეობს სამეგრელო ზემო სვანეთში და ასევე კახეთის რეგიონებში ევროსტანდარტების მქონე ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობის პროექტისათვის საჭირო ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის განხორციელება. პროექტი ფინანსდება (KfW) გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის მიერ გამოყოფილი 800 000 ევროს ოდენობის გრანტის საშუალებით.
- მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, საქართველოს ორ რეგიონში (კახეთი და აჭარა) მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების გრძელვადიანი პროექტის (2014-2017წ.) განახორციელებს რაც გულისხმობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კახეთის რეგიონში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაძლიერების პროექტის განხორციელებას. აღნიშნული პროექტი ფინანსდება სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტით 4 000 000 დოლარის ოდენობით. შერჩეულია კონსულტანტი - ICMA.
- მიმდინარეობს 2014-2017 წლების განმავლობაში საქართველოში ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის ღონისძიებების ხელშეწყობისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ნაგავსაყრელების მართვის კონკრეტული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიების (მაგ. მოქმედი ნაგავსაყრელების შეჩერება, დახურვა და რემედიაცია) ადაპტირება, შესაბამისი პლატფორმის შექმნა ქვეყნის მასშტაბით ნარჩენების მართვის მარეგულირებელ უწყებებს შორის ადეკვატური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, ნარჩენების მიღების კრიტერიუმების შექმნა, გაზის შეგროვების პოტენციალის შესწავლა, მაღალმთიანი რეგიონებისათვის

(ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ნარჩენების მართვის შესაბამისი მოდელის შექმნა. პროექტი ფინანსდება შვედეთის განვითარების სააგენტოს (Sida) გრანტით 13 021 900 შვედური კრონის ოდენობით (დაახ. 3 390 000 ლარი).

- მოქმედ ნაგავსაყრელებზე გაზის არსებობის პოტენციალის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დაწერვის მიზნით, ხორციელდება პროექტი (INOGATE) ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დაგეგმილია:

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და სეპარირების პილოტური პროექტის განხორციელება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) დაფინანსებით.

3.5 ნარჩენების რეციკლირება/გადამუშავების პრაქტიკის დაწერვა

➤ რეციკლირების დაწერვის აუცილებლობა


მსოფლიოში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ნარჩენების მართვის პრობლემა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ათეულობით წლებია ცდილობენ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას და ნარჩენების მართვის სფეროში მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს ავითარებენ.

2006 წელს, იაპონიაში, ქ. ტოკიოში შეკრებილმა 20-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და დაინტერესებულ მხარეებს ავალდებულებს ხელი შეუწყონ 3R-ის (Reduce – შემცირება; Reuse – ხელახალი გამოყენება; Recycle – რეციკლირება) ინიციატივის დაწერვას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ასევე მის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ნაგავსაყრელებზე განთავსებას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ ის ნარჩენი, რომლის გადამუშავება ან სხვა ფორმით სარგებლობა შეუძლებელია.

➤ საქართველოში არსებული სიტუაცია

საქართველოში წარმოქმნილი ნარჩენების უდიდესი ნაწილი (დაახ. 99,7 %) არ გადამუშავდება და მათი განთავსება ხდება ნაგავსაყრელზე.



კომპანიის მიზანია საქართველოში დანერგოს და ხელი შეუწყოს მყარი ნარჩენების მართვის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციის, რეციკლირების, ნარჩენების მეორად გამოყენების, ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას ქვეყნის მასშტაბით.

➤ კომპანიის საქმიანობა რეციკლირების ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით

გერმანიის მთავრობის (BMZ, KfW-ს მეშვეობით) დახმარებით კომპანია ახორციელებს ქუთაისში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მყარი ნარჩენების მართვის გარემოსთვის უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის მოწყობას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგში გადამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების დახარისხებისთვის საჭირო საწარმოს მოწყობა.

ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის (INO-GATE) ფარგლებში, კომპანია ახორციელებს არსებულ ნაგავსაყრელებზე გაზის შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავების და დანერგვის პროექტს.

კომპანია მიზნად ისახავს, მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, საზოგადოებრივი ჩართულობის და საქართველოში 3R-ის პრინციპის დანერგვის ხელშეწყობას.

კომპანია სისტემატურად ღებულობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცალკეული კომპანიებისგან რეციკლირების განსახვავებული ტექნოლოგიების შემოთავაზებებს. შესაბამისად კომპანია სამინისტროსთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად მუშაობს ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის შემუშავებაზე. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ოფიციალურად გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა და შეირჩევა საქართველოსათვის ყველაზე შესაფერისი და მომგებიანი ტექნოლოგიები.

3.6 განთავსების საფასურის დანერგვა

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოში არსებულ ნაგავსაყრელებზე ხორციელდება საყოფაცხოვრებო, მათ შორის არასახიფათო და ზოგიერთი სახის სპეციფიური მყარი ნარჩენის მიღება, გარდა სახიფათო რადიაციული, სამედიცინო თუ სამხედრო ნარჩენებისა. ნარჩენების შეტანა ხდება როგორც ცალკეული იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მიერ.

განთავსების საფასურს იხდიან მხოლოდ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში. გადასახადი განსაზღვრულია 1) სამშენებლო-ინერტული და მასთან გათანაბრებული ნარჩენებისთვის, რომელსაც არ გააჩნია ტოქსიკური ან რადიოაქტიური თვისებები (არასახიფათო) ; 2) საყოფაცხოვრებო ნარჩენებითვის და საკვები პროდუქტების მყარ ნარჩენებისთვის (ვადაგასული ან უვარებისი) და 3) სპეციფიკური მყარი ნარჩენებისთვის (მაგ. აზბესტის შემცველი ნარჩენი) - წონის ან მოცულობის მიხედვით.

საყოველთაოდ აღიარებული „დამბინძურებელი იხდის“ (“Polluter Pays”) პრინციპიდან გამომდინარე, დასავლეთის ქვეყნებში თითოეული ნარჩენის წარმოქმნელი იხდის გადასახადის. გადასახადის განაკვეთის გაანგარიშებისას ხდება ნარჩენის მართვასთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯის გათვალისწინება, როგორიცაა შეგროვების, ტრანსპორტირების, ნაგავსაყრელზე განთავსებისა თუ გადამუშავების ხარჯები. თავის მხრივ ნაგავსაყრელებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს, საკუთარი ოპერირების ხარჯების გათვალისწინებით, დაწესებული აქვს სპეციალური საფასური ე.წ. „ჭიშკრის გადასახადი“ (Gate/Tipping Fee). საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონებში

მოსახლეობისათვის აღნიშნული სერვისისათვის დაწესებული გადასახადი შეადგენს მინიმალურ მოცულობას. არ არსებობს გადასახადის ამოღების ქმედითი სისტემა, რის გამოც მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ დაწესებული მინიმალური გადასახადის ამოღებას. აღნიშნული მიმართულებით სუბსიდირება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არსებული მდგომარეობით, საფასური განსაზღვრული არ არის მუნიციპალიტეტებისთვის და კომპანიის ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია განთავსების მომსახურების გაწვის გადასახადის გაანგარიშება. ნარჩენების ყველა შემომტანი, მათ შორის მუნიციპალიტეტებიც, გადაიხდის განთავსების საფასურს ნარჩენების წონის, მოცულობის, ტიპისა თუ შემადგენლობის მიხედვით.

3.7 ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება

მყარი ნარჩენების მართვის სფეროში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციური ადამიანური რესურსების არსებობას. ახალი და/ან რემედირებული ნაგავსაყრელები და გადამზიდი სადგურების ოპერირება საჭიროებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალს. შესაბამისად, საჭიროებების ანალიზის საფუძველზე კომპანია გეგმავს განახორციელოს თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც გულისხმობს კადრების დატრენინგებას შემდეგი მიმართულებით: ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური და ტექნიკური განვითარება, ფინანსური მენეჯმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა/ცნობიერების ამაღლება.

ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური მიმართულებით განვითარება მოიცავს ორგანიზაციული სტრუქტურების და პროცედურების, ზოგადი და პროექტის მენეჯმენტის შესახებ ტრენინგებს. ტრენინგის შემადგენელი ძირითადი თემები არის შემდეგი:

- ზოგადი მენეჯმენტი: მართვისდა ლიდერობის ზოგადიუნარები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, დაგეგმვა-მონიტორინგი-შეფასება, კომუნიკაციის ჩამოყალიბება, რისკების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მოტივირება
- პროექტის მართვა: პროექტის მართვის ძირითადი პრინციპები და საფუძვლები, პროექტის მართვის მეთოდოლოგია, პროექტის მართვა და

კომუნიკაცია, პროექტის რისკების მართვა, დაგეგმვა და ფინანსური კონტროლი, პროექტის მართვის კომპიუტერული პროგრამები

- **შესყიდვები:** საერთაშორისო შესყიდვების მეთოდები და მოდელები, პროცედურები, მონიტორინგი და კონტროლი, კონტრაქტის შემუშავება/შედგენა და მართვა, FIDIC მეთოდოლოგია

ტექნიკური მართვა გულისხმობს კომპანიის თანამშრომლების აღჭურვას ნარჩენების მართვის ტექნიკა-დანადგარების ოპერირებისთვის საჭირო ცოდნით, რაც, პირველ რიგში, მოიცავს შესაბამისი თეორიული ცოდნის მიღებას მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცესის შესახებ (ნარჩენების წარმოქმნა, მართვა, განთავსება, დამუშავება და სხვ.). ტრენინგის შემადგენელი ძირითადი თემები არის შემდეგი:

- ნაგავსაყრელების ოპერირება, გადამზიდი სადგურები, სორტირების საწარმოები: ნაგავსაყრელების სახეობები და დიზაინი, ნარჩენების იზოლაცია და განთავსება, ბუნებრივი და სინთეტური სამშენებლო მასალები, დამაბინძურებლების შემცირება, გრუნტის წყლების დაცვა, საწარმოო ნარჩენების განთავსება, ნაგავსაყრელების ოპერირების მეთოდები და აღჭურვილობა, გარემოსდაცვითი საკითხები - პათოგენური ბაქტერიები, არასასიამოვნო სუნი და პარაზიტები, ფრინველები
- ნაგავსაყრელების ოპერირების პროცესები: თანამედროვე გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება, მყარი ნარჩენების მართვის სისტემების დანერგვა, ნარჩენების დაშლის ბიო-ქიმიური და ფიზიკური პროცესები, მიკრობულ დაშლაზე ზემოქმედი პროცესები, ნახშირორჟანგის წარმოშობა/შემცირება, ნაჟური წყლების წარმოქმნა, სითბოს წარმოშობა, ნაგავსაყრელებზე აირის წარმოშობა, ნაგავსაყრელების შუალედური და საბოლოო დახურვა
- გარემოსდაცვითი ემისიები- შემცირება კონტროლი: მყარი ნარჩენების მართვის გარემოზე ზემოქმედება, ნაჟური წყლების შეგროვება და მართვა, აირისშეგროვება, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, ფლორა-ფაუნის დაზიანება, აფეთქებების საფრთხეები, მომწამვლელი ნივთიერებები, საიტის გამოკვლევა, ნაჟური წყლების მართვა, აირის ინსინერაცია/უტილიზაცია, შეგროვება და განთავსება
- **ლოჯისტიკა:** გადამზიდი სადგურებიდან ნარჩენების ეფექტურად ტრანსპორტირებისლოჯისტიკის მოდელის შემუშავება, გადამზიდი

სადგურების მოდელები და ოპერირების პროცედურები, გარემოსა და საზოგადოებაზე გავლენა, ხარჯთ-ეფექტურობა

- **რეციკლირება/მეორადი გამოყენება:ღირებული მასალის რეციკლირება** (ქაღალდი/მუყაო, პლასტიკატი, მეტალი და სხვ.), მყარი ნარჩენების რეციკლირების და ხელახალი გამოყენების მნიშვნელობა და სარგებელი, რეციკლირების ტექნოლოგიები, კერძო სექტორის ჩართულობა, და მარკეტინგი

ფინანსური მართვის კუთხით განვითარება გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას ფინანსური ოპერაციების განხორციელებაში, ხარჯების და შემოსავლების მართვაში, კომპანიის ფინანსების და ბიუჯეტის დაგეგმვასა და ინვესტიციების მართვაში. ტრენინგის შემადგენელი ძირითადი თემები არის შემდეგი:

- **ფინანსური მართვა:** ბიუჯეტის მომზადება/დაგეგმვა, ბუღალტრული აღირცხვების წარმოება, წლიური ფინანსური ანგარიშების მომზადება, შესყიდვების წარმოობა, ანგარიშგება და აუდიტი და სხვ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების განვითარება გულისხმობს ნარჩენების თემაზე საზოგადოების ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანიების და პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებას. ტრენინგის შემადგენელი ძირითადი თემები არის შემდეგი:

- **პიარ-კამპანიები:**
- **საინფორმაციო კამპანიები:**

3.8 საზოგადოებასთან ურთიერთობა და ცნობიერების ამაღლება

ნარჩენების მართვის პრობლემის გადასაჭრელად ძალზედ მნიშვნელოვანია პროცესებში მოსახლეობის აქტიური ჩართულობა. ამისათვის აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული სფეროს სტრუქტურისა და იმ აუცილებელი საკითხების ირგვლივ, რასაც მოიცავს უშუალოდ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სისტემა.

საზოგადოების ინფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. მნიშვნელოვანი თემების ირგვლივ სხვადასხვა ტრეინინგების ჩატარებით, ასევე სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიების წარმოებით.

საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყანაში საერთაშორისო, თანამედროვე პრინციპებზე აგებული საყოფაცხოვრებო

ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვისა და ეფექტური ფუნქციონირების პროცესში.

აღნიშნული მიმართულებით, კომპანია ახორციელებს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც მოემსახურებიან დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მიმდინარე და სამომავლო მნიშვნელოვანი ღონისძიებებია:

- დასუფთავების აქციების ორგანიზება და გამართვა სხვადასხვა რეგიონების მასშტაბით.
- ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული გარემოს დაბინძურების, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და სხვა მავნე შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამ ინფორმაციის საზოგადოებრივი წვდომის უზრუნველყოფა.
- საინფორმაციო კამპანიების განხორციელება ნარჩენების წარმოქმნის შემცირების აუცილებლობის კუთხით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის.
- სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შემეცნებითი სახის ფართომაშტაბიანი კამპანიების წარმოება მედიის საშუალებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა სარეკლამო რგოლებით, გაზეთებში გამოქვეყნებით, ბუკლეტებით, და სხვა საშუალებებით სწორი და განმარტებითი ხასიათის გზავნილების გავრცელებას საზოგადოებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას და ევროსტანდარტების ჩარჩოებში მოქცევას.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს და ამ პროცესში ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, თვითმმართველობის ერთეულებთან, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან.

ინფორმაციის გავრცელების მიზნით, კომპანიას გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი www.waste.gov.ge და Facebook-ის გვერდი www.facebook.com/SWMCGEORGIA.